N 373-09
30.04.2025

373-09-3-202504301711

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს უფროს
ბატონ ჯუმბერ აბულაძეს

ტყის მართვის სამსახურის უფროსის
ავთანდილ მახარაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ჯუმბერ,

მოგახსენებთ, რომ ტყის მართვის სამსახურში განხილულია, შუახევის სატყეო ადმინისტრაციის 2025 წლის 29 აპრილის №13/52 კორესპონდენცია, რომელიც ეხება ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს შუახევის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს 2024 წლის 12 დეკემბრის დადგენილებას (საქმე) 231510024010127978 4-89/24, აღმოჩენილ, სექვესტირებულ **სოჭის სახეობის 7 ცალ I ხარისხის (სამასალე) მორს სულ მოცულობით 6,20 კბმ,** რომლის პარამეტრები ასახულია ცხრილში დანართის სახით და გაწერილია ხე-ტყის შესაბამისი წარმოშობის დოკუმენტი **№3000116882** ატვირთულია შესაბამის ელექტრონულ ბაზაში.

აღნიშნული ხე-ტყე უკანონოდ მოჭრილია ჭვანის სატყეოს №3 სამცველოს კვარტალ №54-ში, რომელიც განთავსებულია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაგომარის ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ და განიცდის გარემო პირობების ზემოქმედებას. ხე-ტყე საავტომობილო გზიდან დაშორებულია 5 მეტრი მანძილით.

გთხოვთ, ადმინისტრაციულმა სამსახურმა განიხილოს და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით უზრუნველყოს, ხე-ტყის განკარგვაზე სათანადო რეაგირება.

დანართი: საქმის წარმოების მასალები.

პატივისცემით,

ავთანდილ მახარაძე

სამსახურის უფროსი
ტყის მართვის სამსახური